22.12.2025
N 2291

2291-09-02-11-3-202512221555

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

„ბათუმში, ნიკო ჯაყელის ქუჩაზე მიწის შესყიდვისა და რეკრეაციული ზონის (პარკი და სპორტული მოედანი) მოწყობის შესახებ“ პეტიციის თაობაზე

(N09-02-13-ფ/693, 19.12.2025 წ. პეტიციის ავტორი: მინდია ფუტკარაძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2025 წლის 15 ოქტომბრის N15 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა „ბათუმში, ნიკო ჯაყელის ქუჩაზე მიწის შესყიდვისა და რეკრეაციული ზონის (პარკი და სპორტული მოედანი) მოწყობის შესახებ“ მოქალაქე მინდია ფუტკარაძის 2025 წლის 19 დეკემბრის N09-02-13-ფ/693 პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2025 წლის 15 ოქტომბრის N15 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნება და შემდგომი რეაგირებისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუროსათვის გადაცემა.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი